

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №1

ქ. ბათუმი

15 მაისი 2019 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავჯდომარე : გიორგი ხალვაში - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს დირექტორი;

სატენდერო კომისიის თავჯდომარის მოადგილე; ნოდარ კონცელიძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს დირექტორის მოადგილე;

კომისიის წევრი: დავით ფუტყარაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს იურისტი;

კომისიის წევრი ნარეშ ტელგუ - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს ინჟინერი, პროექტის მენეჯერი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნანა წაქაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სპეციალისტი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სოფიო ანანიძე შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს ოფის მენეჯერი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი თეონა ნუმანიშვილი - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს შესყიდვების მენეჯერი

კომისიის წევრი: თამარ ჩხიკვაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მთავარი ბუღალტერი; არ ესწრებოდა სხდომას, ვინაიდან იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში.

სხდომას უძღვებოდა სატენდერო კომისიის თავჯდომარე.

**დღის წესრიგი:**

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ოჩხამურის ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სანიტარულ ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობის სამუშაოები, 996 მეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა/კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება და აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერით შესყიდვა.

**მოხსენება:**

მომხსენებელმა - თ.ნუმანიშვილმა აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ოჩხამურის ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სანიტარულ ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობის სამუშაოების, კერძოდ: 996 მეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა/კეთილმოწყობის სამუშაოების, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება საპროექტო/სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შესაბამისად შეადგენს 1 855 739 ლარს, შესაბამისად საჭიროებს ელექტრონული ტენდერის გამოცხადებას. ასევე მომხსენებელმა სატენდერო კომისიას განსახილველად გადასცა სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

**კომისიამ განიხილა:**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ოჩხამურის ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სანიტარულ ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობის სამუშაოების, 996 მეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა/კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით ელექტრონული ტენდერის განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებებზე:

- ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე-აუქციონის გარეშე;

- ტენდერის გამოცხადების თარიღად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 16 მაისი;

- სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადად განისაზღვროს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი;

- შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 1 855 739 ლარი დღგ-ს ჩათვლით;

- შეთავაზების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს 18`558 ლარი;

- სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს ჩათვლით;

- პროტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებით დადგინდეს შემდეგი მოთხოვნები - პროტენდენტ პირს 2016 წლის 01 იანვრიდან სატენდერო წინადადების მიღების დაწყების თარიღამდე პერიოდში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის, კერძოდ საავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის არანაკლებ 3 600 000 ლარის საერთო ღირებულების სამუშაოები, მათ შორის ერთი სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში 1 000 000 ლარის სამუშაოები

პროტენდენტს მოეთხოვება შემდეგი სახის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენა:

-ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ;

-პროტენდენტს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს ასფალტის ქარხანა, ან/და გაფორმებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხელშეკრულება ასფალტბეტონის მიწოდებაზე, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია;

- ინფორმაცია პროტენდენტი პირის სპეციალისტთა კვალიფიკაციის შესახებ. პროტენდენტ პირს აუცილებლად უნდა ყავდეს საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ ერთი სპეციალისტი;

- 4 (ოთხი) ეტაპად დაყოფილი სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი;

პროტენდენტს მოეთხოვება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა, კერძოდ:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

- იმ შემთხვევაში თუ პროტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პროტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, ასევე თუ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად ფიქსირდება ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, პროტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დანტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის 1 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის საფუძველზე.

- მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით;

სატენდერო დოკუმენტაციით ასევე დადგინდეს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით სატენდერო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი მოთხოვნები.

- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა #3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშგაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის

განმავლობაში. ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა #3, შუალედური მიღება- ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა #3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა #3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

- საავანსო ანგარიშსწორება:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

ბ) მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

გ) შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საბანკო გარანტია. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. გარანტიის წარმოდგენა ასევე დასაშვებია სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.

დ) მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ს.


ე) საავანსო ანგარიშსწორების გარანტიის გამოყენების/დაკავების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით.

სატენდერო დოკუმენტაციაში ასევე გათვალისწინებული იქნას კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი პირობები;

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი, რაზედაც არსებითი ხასიათის შენიშვნები არ ყოფილა.

**კომისიამ ერთხმად დაადგინა:**


1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ოჩხამურის ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სანიტარულ ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობის სამუშაოები, 996 მეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა/ კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი სატენდერო განცხადების და სისტემაში ასატვირთი ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;
2. შესყიდვის საორიენტაციო ღირებულება 1855739 ლარის ოდენობით, შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე.
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ტენდერის გამოცხადების პროცედურების განხორციელება.

კომისიის თავჯდომარე:  გიორგი ხალვაში

კომისიის თავჯდომარის მოადგილე:  ნოდარ კონცელიძე

კომისიის წევრი:  დავით ფუტყარაძე

კომისიის წევრი:  ნარემ თელგუ

აპარატის წევრი:  ნანა წაქაძე

აპარატის წევრი:  სოფიო ანანიძე

აპარატის წევრი:  თეონა ნუმანიშვილი